საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1285 2017 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, I ლოტი - ქსელური აპარატურის (კომუტატორებისა და მარშრუტიზატორების); II ლოტი - ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის კაბელის მიწაში დამონტაჟებისა და ჭების მოწყობის; III ლოტი - ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელზე კამერების ტერმინაციისთვის საჭირო სპეციალური ყუთების მოწყობა-მონტაჟის; IV

ლოტი - ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მაგისტრალური მულტიპლექსორის (DWDM) შესყიდვისა და ექსპლუატაციაში გაშვების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**